ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,

თქვენი 2015 წლის 4 ოქტომბრის წერილის N 10/17611 თანახმად, წარმოგიდგენთ ჩემი, როგორც ქალაქ თბილიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს, რომელიც მოიცავს 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდს.

დანართი: 10 (ათი) ფურცელი

პატივისცემით,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე /თ. ტალიაშვილი/

ფრაქცია „ქართული ოცნება
დემოკრატიული საქართველოსთვის" თავმჯდომარის-მოადგილე სამართლის დოქტორი

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
ფურცლების რაოდენობა 11 ფურცელი

№10/17611 31.10.16

საკრებულოს დეპუტატის თამარ ტალიაშვილის მიერ 2016 წლის იანვარ-ოქტომბერში გაწეული სამუშაოების შესახებ ანგარიში

2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით დეპუტატმა თამარ ტალიაშვილმა მონაწილეობა მიიღო თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 20 სხდომის მუშაობაში. სულ აღნიშნულ პერიოდში გაიმართა საკრებულოს 25 სხდომა.

საანგარიშო პერიოდში ფრაქციმ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის" ჩაატარა 9 სხდომა, რომელთაგან დეპუტატი თამარ ტალიაშვილი დაესწრო 9 სხდომას. დეპუტატი იკავებს აღნიშნული ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობას.

საანგარიშო პერიოდში განათლებისა და კულტურის კომისიამ, რომლის თავმჯდომარე არის თამარ ტალიაშვილი, გამართა კომისიის 16 სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა 32 საკითხი, მათ შორის:

1. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილედ გრიგოლ ლილუაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" (04/669);
2. ავადობის პრევენციისა და ჯანსაღი ფიზიკური განვითარების პროგრამა ქ. თბილისის ბაგა-ბაღებში;
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გიორგი ალექსიძის სახელობის კამერული დასი -თბილისის თანამედროვე ბალეტის" დაფუძნების შესახებ;
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის #32-127 დადგენულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.(#04/3283);
5. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე ნატო ქიტიაშვილის დანიშვნის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ. (საკრებულოს №04/3557 25.02.2016 - მერიის №6/43581 25.02.2016);
6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" (N04/4778; 14.03.2016);

7. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მახათას საქალაქო სასაფლაო - 1-ისთვის პანთეონის სტატუსის მინიჭების შესახებ" (N04/4112; 4.03.2016);

8. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს როლი თბილისის ბაგა-ბაღების მონიტორინგის პროცესში;

9. სსიპ ქ. თბილისის N54 საჯარო სკოლისთვის სოფიკო ჭიაურელის სახელის მინიჭების შესახებ (04/21965);

10. სსიპ ქალაქ თბილისის N16 საჯარო სკოლისთვის დავით სარაჯიშვილის სახელის მინიჭების შესახებ (06/3254);

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის #32-127 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

12. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა; (04/3827);

13. ქ. თბილისის ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის", ა(ა)იპ „ზაქარია ფალიაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმის", ა(ა)იპ „ქ. თბილისის ნიკოლოზ ბარათაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმის, ა(ა)იპ ქ. თბილისის მიხეილ ჯავახიშვილის მემორიალური ბინა-მუზეუმის, ა(ა)იპ „ქ. თბილისის გალაკტიონ ტაბიძის მემორიალური ბინა-მუზეუმის", ა(ა)იპ ქ. თბილისის ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალური ბინა-მუზეუმის", ა(ა)იპ „ქ. თბილისის მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმის", ა(ა)იპ ქ. თბილისის სოსო წერეთლის მემორიალური ბინა-მუზეუმის და ა(ა)იპ „ქ. თბილისის თოჯინების მუზეუმის" რეორგანიზაციის (შერწყმა/გაერთიანება) შედეგად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანების" შექმნის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ (04/6857);

14. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეგლის თანამდებობაზე დიმიტრი ორმოცაძის დანიშვნის შესახებ თანხმობის მიცემის საკითხი (N04/8555; 6.05.2016);

15. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე კახაბერ გვანცელაძის დანიშვნის შესახებ თანხმობის მიცემის საკითხი (N04/8555; 6.05.2016);

16. „ქ. თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის - ,,თბილისი"- ს ჩატარების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის №11-41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

17. „ქ. თბილისში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის - ,,თბილისი"- ჩატარებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის №128 განკარგულებაში ცვლილების და დამატების შეტანის შესახებ;

18. ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს 2016 წლის პირველ კვარტალში შესრულებული სამუშაოს ანგარიშის განხილვა;

19. ,,საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით ''რიყე-ნარიყალა'' მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (04/10212);

20. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის 2016 წლის პირველ კვარტალში შესრულებული სამუშაოს ანგარიშის განხილვა;

21. მახათას მთის მიმდებარედ არსებული პანთეონისთვის „ახალი პანთეონის" სახელის მინიჭების თაობაზე საკითხის განხილვა (04/11164; 20.06.2016);

22. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის მიერ შესრულებული სამუშაოების ანგარიშის განხილვა;

23. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის #32-127 დადგენულებაში ცვლილების შეტანის შესახებ (#04/11111; 17.06.2016);

24. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე მამუკა მუმლაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის საკითხი“ (04/12991);

25. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-58 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (04/13372);

26. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ (04/9479);

27. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ დამტკიცების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (10/12260);

28. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ტბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 დეკემბრის N32-127 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (04/14139);

29. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოადგილედ გიგა ნიკოლეიშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოადგილედ ნატო ქიტიაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსად ირაკლი ხუცურაულის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსად გიორგი უკლებას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ; (04/14141);

30. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა

მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის N11-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ (04/14140);

31. სსიპ ქ. თბილისის N113 საჯარო სკოლისთვის ცოტნე დადიანის სახელის მინიჭების შესახებ (#06/8086);
32. ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ანგარიში 2016 წლის მესამე კვარტალში განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

განცხადებები

საანგარიშო პერიოდში განათლებისა და კულტურის კომისიაში შემოსული და გასული განცხადებების სტატისტიკა არის შემდეგი:

სულ განათლებისა და კულტურის კომისიაში შემოსული განცხადების რაოდენობა არის 119, ხოლო კომისიის სამდივნოს მიერ გაგზავნილია 168 წერილი (ამ უკანასკნელ რიცხვში არ შედის სადღესასწაულო მილოცვებთან და სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზებასთან დაკავშირებული კორესპოდენცია).

მოქალაქეთა მიღება

საანგარიშო პერიოდში განათლებისა და კულტურის კომისიის სამდივნოს, კომისიის თავმჯდომარესთან შეხვედრის მიზნით, მომართა 213-მა მოქალაქემ, რომელთაგან 206-მა მოქალაქემ შეძლო შეხვედრა და საკუთარი საკითხის პირადად განხილვა კომისიის თავმჯდომარესთან (სტატისტიკა მოცემულია 2016 წლის 1 იანვარი - 31 ოქტომბრის მდგომარეობით.

ღონისძიებები

საანგარიშო პერიოდში, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარესთან - თამარ ტალიაშვილთან თანამშრომლობით მოეწყო შემდეგი ღონისძიებები:

- ტრადიციული რეწვის ბიზნეს სახელმძღვანელოს - „როგორ ვაქციოთ ტრადიციული რეწვა ბიზნესად“ - პრეზენტაცია. სახელმძღვანელო განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის თამარ ტალიაშვილის მიერ ინიცირებული კულტურული მეწარმეობის ფასტივალის ფარგლებში გამოიცა;
- თბილისის ბაგა-ბაღებში წიგნის საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღის აღნიშვნა;
- ორენოვანი კატალოგის „თბილისური საჩუქარი“ პრეზენტაცია, რომელიც მოიცავს 32 ცნობილი ქართველი ხელოვანის ნამუშევრებს, რომლებშიც ასახულია თბილისის ისტორია და ხედები. მისი მიზანია ტრადიციული რეწვის ოსტატების პოპულარიზაცია და რეალიზაციის გაზრდაში ხელშეწყობა. კატალოგი განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის თამარ ტალიაშვილის მიერ ინიცირებული კულტურული მეწარმეობის ფასტივალის ფარგლებში გამოიცა;
- თბილისის მუნიციპალურ ბიბლიოთეკებში მსოფლიო პოეზიის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელზეც ცნობილმა პოეტებმა საკუთარი და მსოფლიო პოეზიის ნიმუშები წაიკითხეს. ღონისძიებას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები და სკოლის მოსწავლეები;
- სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“ ფარგლებში დაარსებული სასკოლო-სამოქალაო კლუბების მოსწავლეების მიღება დედაქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ისტორიულ შენობასა და სხდომათა დარბაზში. მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ, დაესვათ კითხვები საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილისა და განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თამარ ტალიაშვილისათვის ადგილობრივი თვითმმართველობებისა და მის ფუნქცია-მოვალეობების შესახებ.

- მასშტაბური პროექტის „დიზაინი საქართველოდან - თბილისი აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონის შემოქმედებითი ცენტრი“ პრეზენტაცია. პროექტი ა(ა)იპ „ქრიეიტივ ჯორჯიას“ ორგანიზებით ხორციელდება და თბილისში არსებული დიზაინის ინდუსტრიების პოტენციალის ზრდის ხელშეწყობას ისახავს მიზნად. პროექტი თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მერიის, კულტურული ღონისძიებების ცენტრის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება.
- ილია ჭავჭავაძის მკვლელობიდან 109 წლისთავთან დაკავშირებით თბილისის საკრებულოს უმრავლესობის დეპუტატების მიერ მთაწმინდაზე წმინდანის საფლავის გვირგვინით შემკობა და პარაკლისის აღვლენა. ასევე ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში მოეწყო ღონისძიება „წინათგრძნობა თუ რეალური საფრთხე“ და კადრების ჩვენება ილია ჭავჭავაძის მკვლელის გიგლა ბერბიჭაშვილის სასამართო პროცესიდან.
- ევროპის კვირეულის ფარგლებში თამარ ტალიაშვილმა, რომელიც საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის (NALAG) აღმასრულებელი საბჭოს წევრია, კონკურსში სახელწოდებით „მე - ევროპის მოქალაქე“, გამარჯვებული მოსწავლეები დააჯილდოვა და სიტყვით მიმართა. აღნიშნული კონკურსი 47 ქვეყანაში ჩატარდა, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნულმა ასოციაციამ „ევროპის დემოკრატიის სააგენტოს ქსელის“ ინიციატივით 2015 წლის დკემბერში გამოაცხადა და მასში მონაწილეობა საშუალო განათლების საფეხურის მოსწავლეებმა მიიღეს.
- დეპუტატ თამარ ტალიაშვილის შესაბამისი ინიციატივის საფუძველზე დაწყებული პროექტის - „თბილისის გარდაქმნა შემოქმედებით ცენტრად“ ფარგლებში მოეწყო კონფერენცია - „თბილისის გარდაქმნა შემოქმედებით ცენტრად“. რომელზეც თამარ ტალიაშვილთან ერთად მოხსენებით გამოვიდნენ: კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე და მისი მოადგილე ლევან ხარატიშვილი, თბილისის მერი დავით ნარმანია, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი, ევროკავშირის დელეგაციის თანამშრომლობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი საქართველოში ვინსენტ რეი,

ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურისა და შემოქმედების პროგრამის წარმომადგენელი რაგნარ სილი. კონფერენციაზე მონაწილეებმა იმსჯელეს, თუ როორ უნდა მოხდეს კულტურული და შემოქმედებითი ეკოსისტემის დიზაინ-დაგეგმარება ქალაქის განვითარებისთვის, საჭირო პირობების შექმნა შემოქმედებითი მეწარმეებისთვის და რა ცვლილებების განხორციელებაა საჭირო იმისთვის, რომ თბილისი რეგიონის შემოქმედებითი ცენტრად იქცეს. პროგრამის ფარგლებში შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების თემასთან დაკავშირებით, 2016 წლის დეკემბერში დაგეგმილია პირველი ეროვნული კულტურული ფორუმი „შემოქმედებითი საქართველო: კულტურა და შემოქმედება ინოვაციისა და განვითარებისთვის".

ურთიერთობა სახელმწიფო და ადგილობრივ ორგანოებთან

საკრებულოს დეპუტატი თამარ ტალიაშვილი არის საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (NALA) აღმასრულებელი საბჭოს წევრი და აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაციის (CORLEAP) დელეგაციის წევრი, რომლის ფარგლებშიც საანგარიშო პერიოდში :

- დეპუტატი თამარ ტალიაშვილი მოხსენებით გამოვიდა ბრიუსელში აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ასოციაციის (CORLEAP) ყოველწლიურ მე-6 კონფერენციაზე. მან მოხსენებაში ყურადღება გაამახვილა მდგრადი ენერგეტიკისა და ენერგოეფექტურობის სფეროში, როგორც ცენტრალურ ისე, მუნიციპალურ დონეზე განხორციელებულ, მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე.
- დეპუტატმა თამარ ტალიაშვილმა მონაწილეობა მიიღო CORLEAP-ის შეხვედრებზე, რომელიც გაიმართა ქალაქ ერევანში. კონფერენციის განხილვის საკითხს წარმოადგენდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ადმინისტრაციული რეფორმებისა და დეცენტრალიზაციის საკითხები. ასევე, დაესწრო აღმოსავლეთის მერების რეგიონული შეთანხმებისადმი მიძღვნილ ქსელურ ღონისძიებას.

საკრებულოს დეპუტატი თამარ ტალიაშვილი მონაწილეობს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული კომისიებისა და საბჭოების მუშაობაში, მათ შორის:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქეოლოგიური საბჭო", რომელიც 2015 წლის 9 ივნისს დაარსდა. საბჭოს მიზანია, თბილისის მასშტაბით არქეოლოგიური კვლევების ხელშეწყობა და ქალაქში ტურისტული მარშუტების რაოდენობის ზრდა. 2015 წელს საბჭომ გამოავლინა 4 არქეოლოგიური პროექტი, ესენია: „შახტატი", „თბილისის წმ. ორმოც სებასტიელთა ტაძარი", „საჯოგის ნასახლარი" და „თრელიგორის ნასახლარი". ხოლო 2016 წელს ჩატარებული არქეოლოგიური პროექტების შესარჩევი კონკურსის შედეგად გამოვლინდა 2 ახალი პროექტი - „შახტატის დედაციხე" და „თრელიგორის ნასახლარი".

2. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების მიზანშეწონილობის საკითხის განმხილველი კომისია";

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მიმნიჭებელი საბჭო";

4. „მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონების რეგულირებასთან დაკავშირებული სარეკომენდაციო საბჭო";

5. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში დასაფინანსებელი კულტურის სფეროს პროექტების განმხილველი კომისია".

6. „ქ. თბილისის მუნიციპალიუტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროექტების განმხილველი კომისია";

ასევე, დეპუტატი თამარ ტალიაშვილი სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობს ააიპ „თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრში“ შესული პროექტების განმხილველ კომისიებში (საკონსულტაციო, თეატრალური, საგამომცემლო).

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები

საანგარიშო პერიოდში, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის თამარ ტალიაშილის იციატივით გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები:

- თბილისის საკრებულოს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატს, თბილისის მერიასა და ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს შორის თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და განათლებისა და მეცნიერებისა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროებთან.
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან.
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და „ქალთა ხელოვნების საერთაშორისო ასოციაციას“ (AIWA) შორის.